



# ნობელის პრემია 2020 ფიზიოლოგიაში/მედიცინაში



ნობელის პრემია ფიზიოლოგიაში/მედიცინაში 2020 წელს დაჯილდოვდნენ **ჰარვი ჯეი ალტერი, მაიკლ ჰაუტონი და ჩარლზ ემ რაისი** C ჰეპატიტის ვირუსის აღმოჩენისთვის.




ჰეპატიტი ვირუსული დაავადებაა, რომელიც ღვიძლის ანთებით პროცესებს მოიცავს. არსებობს რამდენიმე ტიპის ჰეპატიტი - წლე-ვანდელი ნობელის პრემია გადაეცა მკვლევარებს, რომლებმაც C ჰეპატიტის ვირუსი აღმოაჩინეს. სხვა ჰეპატიტის ვირუსების მსგავსად, როგორცაა B ტიპის, C ჰეპატიტი ხშირად მკურნალობას საჭიროებს. მას ციროზის გამონვევა და ღვიძლის გათიშვა შეუძლია. დღესდღეობით მისი ვაქცინა ხელმისაწვდომი არაა.



**ალტერი** იკვლევდა ჰეპატიტის პაციენტებში, რომლებსაც სისხლი გადასხმული ჰქონდათ. ამ პაციენტების სისხლი როდესაც შიმპანზეებს გადაუსხეს, თან გადაჰყვამდა დაავადებას. მეცნიერმა აჩვენა, რომ ეს ჰეპატიტი სხვა ვირუსული ჰეპატიტებისგან განსხვავებული იყო.

**ჰაუტონმა** შიმპანზეს სისხლიდან ახალი ვირუსის დნმ-ის ფრაგმენტების იდენტიფიცირება მოახდინა. პაციენტთა ანტისხეულების საშუალებით ვირუსული ცილების ანალიზი შეძლო და ეს ვირუსი კლასიფიცირდა, როგორც C ჰეპატიტი.

**რაისმა** შექმნა გენმოდიფიცირებული ვერსია C ჰეპატიტის ვირუსისა და აჩვენა, რომ მას ჰეპატიტის გამონვევა შეეძლო შიმპანზეებში. ამით დამტკიცდა, რომ სწორედ C ჰეპატიტის ვირუსი იყო გამომწვევი ჰეპატიტისა, რომელიც სისხლის გადასხმას ახლდა თან.



## რატომ მის კვლევა მნიშვნელოვანია?

C ჰეპატიტის ვირუსის აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა მისი დეტექტირების ტესტების განვითარებას. ამით სისხლის გადასხმების შედეგად გამონვეული დაავადება ჰეპატიტი შემცირდა მსოფლიოში. ამ კვლევამ, აგრეთვე, სათავე დაუდო ჰეპატიტის სანინააღმდეგო წამლების გამოკვლევას.

ნობელის პრემიის პრესა, ფიზიოლოგია/მედიცინა: <https://www.nobelprize.org/uploads/2020/10/press-medicine2020.pdf>

